

## შეტყობინება მეათე

**ცენტრალური და მნიშვნელოვანი საკითხი აღდგენის წიგნებში, ეზრასა და ნეემიას წიგნებში,**  
**– სათანადო და სრულყოფილი ხელმძღვანელობა უფლის აღდგენაში**

ადგილები წერილიდან: ნეემ. 8:1-10; 13:14, 29-31; მათე 20:25-28; 23:8-13; ებრ. 13:7

- I. ღმერთის მარადიულ სახლმშენებლობაში და უფლის აღდგენაში ხელმძღვანელობა დამოკიდებულია სულიერ შესაძლებლობებზე; ხელმძღვანელობა არ არის ოფიციალური, მუდმივი, ორგანიზაციული ან იერარქიული – 1 თეს. 1:5; 2:1-14; 5:12-13; ებრ. 13:7, 17, 24:
- ა. უფლის წარმოდგენა ხელმძღვანელობაზე ეწინააღმდეგება ბუნებრივ წარმოდგენას; ღმერთის ხალხს შორის ფაქტობრივად არ არსებობს ხელმძღვანელობა ბუნებრივი მნიშვნელობით – მათე 20:25-28; 23:8-13:
1. ღმერთის ახალადოთქმისეულ სახლმშენებლობაში ხელმძღვანელობა არის მონობა; ყველა, ვისაც უნდა, რომ იყოს ხელმძღვანელი, მზად უნდა იყოს, რომ გახდეს მონა – მარკ. 10:35-45.
  2. ხელმძღვანელობა ყალიბდება სიცოცხლეში ზრდის წყალობით და ვლინდება აუცილებლობიდან გამომდინარე; თუ არ არის აუცილებლობა, ვერავითარი ხელმძღვანელობა ვერ გამოვლინდება – 1 პეტ. 5:1-3.
  3. იმისათვის, რომ მოგვაშოროს ადამიანური წარმოდგენა ხელმძღვანელობაზე, ღმერთმა დაადგინა, რომ ხელმძღვანელობა მის ხალხს შორის ყოველთვის დამოკიდებული უნდა იყოს სულიერ შესაძლებლობებზე – საქმე. 13:2, 9; 14:12; გალ. 2:11-14.
  4. უფლის აღდგენაში არ არის ორგანიზებული ხელმძღვანელობა, და მასში არ არის გამაერთიანებელი ხელმძღვანელობა; ნაცვლად ამისა არის ერთი თავი, რომელიც აძლევს განკარგულებებს ყველა ასოს უშუალოდ, და არის ერთი ორგანიზმი, სხეული – ეფეს. 1:22-23.
- ბ. ახალი აღთქმის თანახმად, მოციქულების ძალაუფლება არის სულიერი და არის მათ მიერ სიტყვის მსახურებაში – საქმე. 2:42; 2 კორ. 13:5-6; 1 თეს. 2:13:
1. მათ არა აქვთ საფუძველი, რომ ძალაუფლების მდგომარეობაზე დაყრდნობით ჩაერიონ ეკლესიის საქმეებში; ძალაუფლება აქვს მხოლოდ მათ მიერ მიტანილ სიტყვას – კოლ. 4:16; ებრ. 13:7.
  2. ეკლესიები მიჰყვებიან მოციქულებს, რადგან მოციქულებს აქვთ ახალადოთქმისეული სწავლება – ფილიპ. 2:12; საქმე. 20:17-36.
  3. თუ ესა თუ ის ეკლესი გადაუხვევს გზიდან ან შეცდომას დაუშვებს, მაშინ მოციქულები ვალდებული და პასუხისმგებელი არიან, რომ დაამყარონ წესრიგი შექმნილ სიტუაციაში, ღმერთის სიტყვის თანახმად, რომელსაც აქვს ძალაუფლება – მუხ. 26-27; 2 კორ. 10:6; 2 ტიმ. 1:13; 4:2.
  4. ხელმძღვანელობა წარმოიქნება, განმტკიცდება და ექვემდებარება შეზღუდვებს მოციქულთა სწავლების ფარგლებში – ტიმ. 1:9.
- ბ. ახალ აღთქმაში არის მხოლოდ ერთი მსახურება ერთი ხელმძღვანელობით – საქმე. 1:17, 25; 2 კორ. 4:1:
1. დღევანდელი ქრისტიანობა დაყოფილია, რადგან მასში არის ხელმძღვანელობის მრავალი სახესხვაობა; ვინაიდან მსახურება არის ერთი, არ უნდა იყოს ერთხე მეტი ხელმძღვანელობა.

2. არსებობს ერთი ხელმძღვანელობა, ვინაიდან დმერთიც, უფალიც, და სულიც არის ერთი; ერთი ხელმძღვანელობა განკუთვნილია სულის ერთობის შესანარჩუნებლად ქრისტეს სხეულისათვის – ეფეს. 4:3-6.
  3. ახალი აღთქმა გვიჩვენებს დმერთის დელეგირებულ ძალაუფლებას მათში, ვინც წამყვანია მსახურებაში, ძალაუფლებას, რომელიც განკუთვნილია აშენებისათვის – 2 კორ. 13:10:
    - ა) დმერთის დელეგირებული ძალაუფლება არის წამყვანი ძმების სწავლებაში – 1 კორ. 4:17ბ-21; 7:17ბ; 11:2; 16:1; 2 თეს. 3:6, 9, 12, 14.
    - ბ) ის, რომ პავლე ასწავლიდა ერთსა და იმავეს ყველგან, თითოეულ ეკლესიაში, იყო მისთვის დელეგირებული ძალაუფლების დემონსტრირება – 1 კორ. 4:17ბ.
  - დ. ხელმძღვანელობა ახალაღთქმისეულ მსახურებაში არის უმეტესწილად ახალაღთქმისეულ სწავლებაში, ვიდრე თვითონ წამყვანებში ახალი აღთქმის მსახურებაში – საქმე. 2:42; 2 ტიმ. 3:10.
- II. ხელმძღვანელობა ახალაღთქმისეულ მსახურებაში არის დმერთის მარადიული სახლმშენებლობის მმართველი ხედვის ხელმძღვანელობა, და არა რომელიმე მმართველი პიროვნების ხელმძღვანელობა; მოციქულმა პავლემ განაცხადა: „არ ვეურჩე ზეციურ ხედვას“ – საქმე. 26:19:
- ა. დმერთის მარადიული სახლმშენებლობა გაიხსნა მოციქულების მეშვეობით, მაგრამ, ვინაიდან მორწმუნებება დაკარგეს სათანადო გაგება დმერთის მარადიული სახლმშენებლობისა, უფლისათვის აუცილებელია მისი აღდგენა; დმერთის მარადიული სახლმშენებლობა (ბერ. „ოიკონომია“) არის დმერთის მიერ საშინაო მეურნების მართვა, რაც არის ის, რომ დმერთი არიგებს თავის თავს ქრისტეში თავის ამორჩეულ ადამიანებში, რათა დმერთს ჰქონდეს სახლი, რომელიც გამოხატავს მას, და ასეთი სახლი არის ეკლესია, ქრისტეს სხეული – ეფეს. 3:2, 8-9; 1 ტიმ. 1:3-4; 3:15; ეფეს. 1:10; 2:21-22; 1 პეტ. 4:10.
  - ბ. სიტყვა „აღდგენა“ აღნიშნავს ხელახლა წარმოქმნას ან დაბრუნებას ნორმალურ მდგომარეობაში, მას შემდეგ, რაც რაღაც დაზიანდა ან დაიკარგა; სიტყვა „აღდგენა“ აღნიშნავს დაბრუნებას დმერთის თავდაპირველ განზრახვასთან და მის სტანდარტთან, რაც ნაჩვენებია წერილებში, რომლებიც შეესაბამება დღევანდელ წინსვლას მისი აღდგენისა – დმერთის მარადიული სახლმშენებლობის შინაარსის აღდგენისა:
    1. უფლის აღდგენა არის აღდგენა ქრისტესი, როგორც ჩვენი ცენტრისა, ჩვენი სინამდვილისა, ჩვენი სიცოცხლისა და ყველაფრისა ჩვენთვის მის სრულ მსახურებაში: განკაცებაში, ჩართვასა და გაძლიერებაში – კოლ. 1:17ბ, 18ბ; ფსალ. 80:1, 15, 17-19; იოანე 1:14; 1 კორ. 15:45ბ; გამოცხ. 2:4-5, 7, 17; 3:7-8, 12-13, 17-22; 4:5; 5:6; იოანე 6:57; 14:21, 23; 21:15-17; შდრ. იერ. 32:39.
    2. უფლის აღდგენა არის აღდგენა ქრისტეს სხეულის ერთობისა – იოანე 17:11, 21-23; ეფეს. 4:3-4ა; გამოცხ. 1:11.
    3. უფლის აღდგენა არის აღდგენა ქრისტეს სხეულის ყველა ასოს ფუნქციისა – ეფეს. 4:15-16; რომ. 15:16; 1 პეტ. 2:5, 9; 1 კორ. 14:1, 4ბ, 12, 26, 31, 39; იერ. 31:33-34 (იხ. 33-ე მუხლის შენიშვნა 1).
  - გ. ეს ხედვა უნდა განახლდეს ჩვენში დღითი დღე, რათა იყოს მმართველი ხედვა მთელი ჩვენი ცხოვრების, სამუშაოსი და საქმიანობის – 1 იოანე 1:7; 1 პეტ. 2:9; ესაია 2:5; ფსალ 119:105; 36:8-9.

- დ. როდესაც რომელიმე ადამიანი ტოვებს უფლის აღდგენას, ეს ნიშნავს, რომ მას არ დაუნახავს, რა არის უფლის აღდგენა; თუ ჩვენ არ დაგვინახავს ხედვა უფლის აღდგენისა, მაშინ, სინამდვილეში, ჩვენ არ ვართ უფლის აღდგენაში – საქმე. 26:13-19; შდრ. 13:14-18.
- ე. ჩვენ უფლის აღდგენაში უნდა მივიღოთ ნათელი ხედვა ღმერთის მარადიული სახლმშენებლობისა, ხოლო შემდეგ ვიყოთ ამ ხედვის ხელმძღვანელობის, მმართველობისა და წარმართვის ქვეშ, რადგან ჩვენი მიზანია, განვახორციელოთ ღმერთის მარადიული სახლმშენებლობა მის აღდგენაში.
- ვ. ხელმძღვანელობა უფლის აღდგენაში არის ღმერთის მიერ მოცემული ღმერთის მარადიული სახლმშენებლობის ხედვის ხელმძღვანელობა, რომელიც გაზღუდავს ჩვენ, წარგვმართავს ჩვენ და გვმართავს ჩვენ, რათა თავი დავაღწიოთ არეულობასა და დაყოფას – იგავ. 29:18ა.
- ზ. წაიკითხეთ დამატებითი მასალა წიგნიდან „საუკუნის ხედვა“.
- III. ცენტრალური და მნიშვნელოვანი საკითხი აღდგენის წიგნების, ეზრასა და ნეემიას წიგნებისა, არის სათანადო და სრულყოფილი ხელმძღვანელობა – ნეემ. 8:1-10:**
- ა. უფლის აღდგენაში ჩვენ გვაქვს ხელმძღვანელობა ერთი მმართველი ხედვისა ერთ მსახურებაში, რომელიც ხორციელდება მათი მეშვეობით, ვისაც მოაქვს ეს ხედვა – ეფეს. 3:3-5, 9; კოლ. 1:24-29:
1. პავლემ თქვა, რომ ის და მისი თანამშრომლები იყვნენ „ქრისტეს მსახურები და ღმერთის საიდუმლო მნეები“ (1 კორ. 4:1); ისინი იყვნენ მნეები, რომლებიც ურიგებდნენ მორწმუნებს ღმერთის საიდუმლოებათა ზეციურ ხედვას; ეს საიდუმლოებებია – ქრისტე, როგორც ღმერთის საიდუმლო, და ეკლესია, როგორც ქრისტეს საიდუმლო (კოლ. 2:2; ეფეს. 3:4; 5:32); ეს მსახურება დარიგებასთან დაკავშირებით, ეს მნეობა, არის მოციქულთა მსახურება (3:2, 8-9).
  2. „მნეთაგან კი მოითხოვენ, რომ ის აღმოჩნდეს ერთგული“ (1 კორ. 4:2), პავლეს მსგავსად, ჩვენ უნდა ვიყოთ ისინი, ვინც „მიიღო უფლისაგან წყალობა, რომ იყოს ერთგული“ (7:25ბ; 1 ტიმ. 1:12), რათა ჩვენ ვიყოთ ერთგული მონები, რომლებიც ჩვეულებრივ აძლევენ ღმერთის სახლეულს სულიერ საკვებს, მიაქვთ მორწმუნებათან ეკლესიაში ღმერთის სიტყვა და ქრისტე, როგორც სასიცოცხლო შეწევნა (მათგ 24:45-47); ჩვენ გვინდა, რომ ვიყოთ ისინი, ვინც არის ერთგული უფლის სამუშაოზე ამ საუკუნეში, რათა მონაწილეობა მივიღოთ უფლის სისხარულში მომავალ საუკუნეში, და ამასთან ერთად გავაცნობიეროთ, რომ უფლის ქება და ჯილდო დამოკიდებულია არა ჩვენი სამუშაოს ზომებსა და მოცულობაზე, არამედ ჩვენს ერთგულებაზე მისი ნიჭის სრულად გამოყენების საკითხში (25:21-23; შდრ. გამოცხ. 3:8).
- ბ. მხოლოდ ისეთი ერთგული ადამიანების ხელმძღვანელობით, როგორებიც იყვნენ ეზრა და ნეემია, ისრაელს შეეძლო, რომ შეეცვალა შემადგენლობა და გამხდარიყო ღმერთის მოწმობა, ღმერთის გამოხატულება დედამიწაზე, ხალხი, რომელიც სრულიად არ პგავდა წარმართულ ტომებს; ეს არის წინასახე იმისა, თუ როგორი ეკლესიის ნახვა სურს დღეს ღმერთს – ნეემ. 13:14, 29-31; 1 ტიმ. 3:15.
- გ. ნეემიამ იცოდა, რომ ეზრას გარეშე ის ვერ შეცვლიდა ღმერთის ხალხის შემადგენლობას:
1. ნეემია აცნობიერებდა, რომ ხალხის შემადგენლობის შეცვლის საკითხში მან არ იცოდა ღმერთის სიტყვა.

2. ეზრა ცნობილი იყო ღმერთის სიტყვის ცოდნით, და ნეემია მზად იყო, რომ  
მიემართა მისთვის დასახმარებლად.
- დ. დგომაებრივი პრინციპის თანახმად, სათანადო წარმომადგენლები სხეულისა  
უკველთვის არიან ისინი, ვინც შეესაბამება სხვებს – 1 კორ. 1:1; გამ. 4:14ბ-16:
1. თუ ადამიანი მარტო, ის არის ინდივიდუალისტური, მაგრამ თუ ის  
გაგზავნილია სხვა ადამიანთან ერთად, ის გაგზავნილია სხეულის პრინციპის  
თანახმად – ლუკა 10:1; საქმე. 13:1-3; რომ. 12:5; 1 ოქ. 1:1.
  2. ვიმოქმედოთ ინდივიდუალისტურად – ნიშნავს, რომ დავარღვიოთ სხეულის  
პრინციპი.
  3. უფლის აღდგენაში არის გადაუდებელი საჭიროება ჰეშმარიტი სამუშაოსი  
სხეულის აშენებისათვის, მაგრამ ეს სამუშაო აშენებასთან დაკავშირებით  
შეუძლიათ განახორციელონ მხოლოდ იმ თანამშრომლებმა, რომლებიც  
შეესაბამებიან სხვებს – ფილიპ. 2:19-22.
- ე. „უფალმა დამახახვა, რომ მან მომზადა მრავალი ქმა, რომლებიც, როგორც  
მონები, ჩემთან ერთად იმსახურებენ შეზავების გზით. მე ვთვლი, რომ ეს არის  
უზენაესი მომარაგება უფლისაგან მისი სხეულისათვის და უახლესი გზა უფლის  
მსახურების განსახორციელებლად“ – ვიტნეს ლი, 24 მარტი 1977 წელი (\*ვიტნეს  
ლის ნაშრომთა კრებული, 1994-1997, გ. 5, „ურთიერთობის წერილი მადლიერებით“).

**დამატებითი მასალა წიგნიდან „საუკუნის ხედვა“:**

### **ბანურელად ბავშვთ ამ საშუალებების დასრულებულ ხედვას**

იმისათვის, რომ დღეს ჩვენ შევძლოთ, ვემსახუროთ ღმერთს, ჩვენი ხედვა უნდა  
გავრცელდეს პირველი ხედვიდან, ადამის ხედვიდან, დაბადების წიგნში, ეკლესიის  
გამოვლინების, ახალი იესრუსალიმის საბოლოო ხედვამდე. ეს, და მხოლოდ ეს არის სრული  
ხედვა. ეს ხედვა მხოლოდ დღეს გაგვეხსნა ჩვენ მოლიანად.

ეროვნული სასახლის მუზეუმში ტაიბეიში არის გრძელ გრაგნილზე დახატული სურათი,  
რომელსაც პქვია „სცენა მდინარესთან ცინ-მინის დღესასწაულის დროს“. ამ სურათზე  
დეტალურად არის გადმოცემული ჩინელი ხალხის კულტურა, ცხოვრება და ჩვეულებები იმ  
დროს, როდესაც დაიხატა ეს სურათი. არ არის საკმარისი, რომ მხოლოდ პირველი რამდენიმე  
ფრაგმენტი დავინახოთ ამ გრძელი გრაგნილისა. ჩვენ უნდა გავიაროთ ერთი ბოლოდან მეორე  
ბოლომდე, რათა გვქონდეს ნათელი სურათი, ანუ „ხედვა“ ჩინეთში ცხოვრების მთელი  
სპექტრისა. ზუსტად ასევე, როდესაც ჩვენ ვემსახურებით ღმერთს, თვალწინ უნდა გვქონდეს  
ჩვენი სურათი, ჩვენი „სცენა მდინარესთან ცინმინის დროს“. ის იწყება ადამის ხედვიდან –  
სიცოცხლის ხის ხედვიდან ედემის ბაღში – და ვრცელდება ახალი იერუსალიმის სიცოცხლის  
ხეთან ერთად ხედვამდე. ახალი იერუსალიმი არის უკანასკნელი სურათი ამ ხედვისა. ამის  
შემდეგ აღარ არის არაფერი.

...ჩვენ ვემსახურებით ღმერთს ბოლო სურათის თანახმად, რომელიც მოიცავს თავის თავში  
ევალა წინა სურათს...

ვინაიდან ჩვენ გვაქვს უახლესი და საბოლოო ხედვა, ჩვენ განუხრედად უნდა გავყვეთ მას.  
ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ მივყვებით ადამიანს; პირიქით, ჩვენ მივყვებით ხედვას.  
სრულიად არასწორია იმის თქმა, რომ ჩვენ მივყვებით ამა თუ იმ ადამიანს. ჩვენ მივყვებით  
დღევანდელი საუკუნის ხედვას. ეს არის ღმერთის დასრულებული ხედვა.

უფლის აღდგენა მოვიდა ჩვენთან ჩვენი ძირფასი ქმა ნის მეშვეობით. შედეგად ის გახდა  
სამიზნე თავდასხმებისათვის. 1934 წელს ის დაქორწინდა ქალაქ ხანჯოუში. ზოგიერთმა

ისარგებლა შემთხვევით და აღძრა ქარიშხალი. მმა ნი იყო ძალიან დამწუხერებული, ამიტომ ერთხელ მე მივედი, რათა დამემშვიდებინა ის და ვუთხარი: „ძმაო ნი, შენ იცი, რომ ჩვენ შორის არ არის ბუნებრივი ურთიერთობები. მე ავირჩიე გზა, რომლითაც შენ მიდიხარ, და ვქადაგებ იმას, რასაც შენ ქადაგებ, არა ბუნებრივი მეგობრობის გამო შენთან. მე და შენ სრულიად განსხვავებული ადამიანები ვართ. მე ჩრდილოეთიდან ვარ, ხოლო შენ – სამხრეთიდან. დღეს მე ვირჩევ იმავე გზას არა იმიტომ, რომ მოგყვები შენ როგორც პიროვნებას. მე მივყვები გზას, რომლითაც შენ მიდიხარ. მმაო ნი, მე მინდა რომ შენ იცოდე: მაშინაც კი, თუ ერთ დღესაც, შენ გადაუხვევ ამ გზიდან, მე მაინც ვივლი ამ გზით“. მე ეს ვთქვი, რადგან ზოგიერთმა ამ ქარიშხალის გამო გადაწყვიტა, მიეტოვებინა ეს გზა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბევრი მიჰყვებოდა ადამიანს. როგორ მათ მოეჩვენათ, რომ ეს ადამიანი შეიცვალა, მათ ზურგი შეაქციეს მას. მაგრამ მე ვუთხარი მმა ნის: „მაშინაც კი, თუ შენ ერთ დღესაც გადაუხვევ ამ გზიდან, მე მაინც ვივლი ამ გზით. მე მივდივარ ამ გზით არა შენ გამო, და მე არ მივატოვებ ამ გზას შენ გამო. მე დავინახე, რომ ეს არის უფლის გზა. მე მივიდე ხედვა“.

გავიდა ორმოცდათორმეტი წელი. დღეს მე საერთოდ არ ვნანობ იმას, რაც გაგაკეთე ბოლო ორმოცდაათი წლის გამავლობაში მე დავინახე, როგორ მეორდებოდა ერთი და იგივე ისტორია. ზოგიერთი ადამიანი მოდის და მიდის. მოდის ერთი სურათი – და მას მოჰყვება მეორე სურათი. ჩვენ დავიწყეთ მუშაობა ტაივანში ოცდაათი წლის წინ. ამ დროის განმავლობაში ჩვენ ვიყავით მოწმეები რამდენიმე დიდი კრიზისისა. უფლის აღდგენიდან მიდიოდნენ ის მმებიც კი, რომლებიც მე პირადად მივიყვანე გადარჩენასთან და რომლებსაც მე პირადად ვასწავლიდი. ხედვა არ შეცვლილა, შეიცვალნენ ადამიანები, და ისინი, ვინც მიჰყვებიან ხედვას, ასევე შეიცვალნენ. მე მინდა ყველა თქვენგანი გამოვაფხილო ჩემი გულის სიღრმიდან წარმოთქმული ამ სიტყვით. უფლის წყალობით დღეს მე შემიძლია ვიდგე აქ და გაჩვენოთ ეს ხედვა. მე ვიმედოვნებ, რომ თქვენ არ მომყვებით მე, როგორ პიროვნებას; მე ვიმედოვნებ, რომ უფლის წყალობით თქვენ მიჰყვებით იმ ხედვას, რომელიც მე გაჩვენეთ თქვენ...“

მე მინდა ერთი რამ გითხრათ თქვენ. ეს არის უფლის წყალობა, რომ უფალმა დამანახვა მე ეს ხედვა. მე გირჩევთ, რომ გამომყვეთ არა მე, არამედ გაჰყვეთ იმ ხედვას, რომელიც დაგვიტოვა ჩვენ მმა ნიმ და უფლის ყველა მსახურმა ყველა საუკუნის განმავლობაში და რომელიც მე გადმოგეცით თქვენ. ეს ხედვა ნამდვილად მოიცავს ყველაფერს პირველი სურათიდან, ადამის სურათიდან, ბოლო სურათამდე, ახალი იერუსალიმის სურათამდე (გვ. 60-64, რუს.).